

ჩემო დათიკო, შენი წერილი 7 დაწერილი მივიღე 15-ს, ძლიერ ჩქარა. შენ ისე გვიან იწერები, რომ ფოსტამაც კი შემიცოდა და მალე მომიტანა. მივიღე სიამოვნებით, წაკითხვის შემდეგ დავლონდი. შენ ბევრი რამის შესრულება შეგიძლია. მოითხოვე რაიმე მისია და წამოდი. თუ ცოცხალი ვიქნები და ისურვებ ჩემთან მოხვალ. კუთხე აქაც მოინახება.

ამ წერილის წერა შემაწყვეტინა სომეხ მხატვარმა ტუტუჯიანმა. მთხოვა შენი მისამართი, მივეცი. მითხრა: ერთმა პოლანდიელმა გამოფენა უნდა გამართოს და კაკაბაძის სურათებს თქვენ მოგთხოვნო. მე უარი უთხარი, რადგან მიშა ბელანიშვილი მართავს გამოფენას და იმას დავებირდი შენი და ლალოს სურათების თხოვება.

საქმე აი რაშია: პოლანდელი Van Oijen-ს, რომელსაც აქვს galerie Bonaparte édition artistique (საკუთარი), უთქვამს მისასათვის მუქთად მოგიწყობთ გამოფენას ოღონდ თქვენ მოაგროვებთ რაც რამე მოგეძევებათ ქართული სურათები თუ წიგნები, ყველაფერი რაც შეეხება საქართველოს, განსაკუთრებით მოდერნისტული. ეს გამოფენა გაიმართება 26 ივნისიდან — 6 ივლისამდე.

სომეხი ტუტუჯიანი (თუ გახსოვს ქოჩორიანს რომ მოყობოდა შენი სურათების სანახავათ) კი თურმე ცდილობს თავის საკუთარი გამოფენა გამართოს, ამიტომაც უთქვამს იმ პოლანდიელისათვის (იგივე რომელიც მიშას ეხმარება) კაკაბაძე სომეხი არისო. მას ვაკვირვებია, გამიგონია ქართველი არისო. ეს სომეხი ეხლა სულ შენ გბაძავს, ამიტომ პოლანდიელს მოსწონს\*.

\* სოლორაშვილის წერილთან დაკავშირებით საინტერესოა დასავლეთ გერმანელი ავტორის პერტა ვეშერის ინფორმაცია მონოგრაფიაში „კოლაჟის ისტორია“, 1974 წ. (Herta Wescher „Die Geschichte der Collage“ 1974) ...ტუტუჯიანი გვიამბობს, რომ თავის ექსპერიმენტებში ფერადოვანი მასალით, რომელსაც „მატერიის დეფორმაცია“ ახასიათებს, ეყრდნობა დაეით კაკაბაძეს, რომელსაც 1925 წელს დაუახლოვდა.

ძალიან ცოტა გვაქვს ზუსტი მონაცემი ამ რუს-ქართველი ხელოვანის შესახებ, რომელმაც თავისი გმირული საქმიანობით დიდი უკრადლება მიიქცია.

ის მოსკოვში ხელოვნებაში დაოსტატებასთან ერთად ბუნებისმეტყველებას

ქოჩორიანს ცოლი მოკვდომია. თითონ მსახურებს როზენბერგთან, კონტრაქტით შეკვრია, არ ვიცი რამდენი წლით.

ჩემო პაწიავ, შენ რომ აქ ყოფილიყავი დღეს რამდენი რამე გექნებოდა გაკეთებული და ყველაზედ წინ იქნებოდი. უფრო ადრე, მინდოდა მოწერა, კიდევ ავით გავხდი ბრონხიტით და საშინელი კრიზისი მომივიდა ასტმის. არაფელი მეშველა, მეტად დასუსტებული ვარ. საჭიროა სოფელში წასვლა, მაგრამ რითი.. უფულოთ კი იცი ფეხის გადადგმაც არ შემიძლია... მე კი არა რაი საშუალება არ მომეპოება. მუშაობა აღარ შემიძლია. ექიმში აღარ მწყალობს, იშვიათად მოდის. მალე მიდის ქმართან.

როგორც იყო ეღირსა, ჩემი ოთახი გათავდა. ახალი შპალერი გააკრეს, ლამაზია. nature morte fougère-ს ფოთლები. ჩემს მდგომარეობას შეეფერება.

პაწია მხატვრები ძალიან მეხმარებიან, მოგიკითხეს სიყვარულით აგრეთვე მიშამ და მარტინემ.

შეასრულე, გენაცვალე დათიკონე ეს თხოვნა. გაუგზავნე ოცდაათი (30) მანეთი შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, დაბა ასკანა. სოფელი ფიჩხისჯვარი. გიგო მგელაძეს. ვანოსთვის. შენ თუ ვერ შესძლო, ანას უთხარი ის გავზავნის. გადაეცი ანას და ტანიას რომ მე მიტოსგან არ მიმიღია აქამდინ ორმოცდაათი მანეთი (50).

სალამი თქვენებს იყავი კარგად ეცადე მალე  
გეგანი

22, Rue Delambre Paris (14<sup>e</sup>)

სწავლობდა და შემდეგ ასწავლიდა კიდევ. 1920 წელს ჩამოდის პარიზში და მომდევნო წლებში მონაწილეობს დამოუკიდებელთა სალონის გამოფენებში. 1921 წელს ის აკეთებს ავარჯელს, აბსტრაქტულ კუმბისტურ კომპოზიციებს. რომელთაც საფუძვლად უვავილების მოტივები და ნაგების ფორმები უძვეთ. მაგრამ შემდგომში ის ქმნის კონსტრუქციულ რელიეფურ სურათებს და სკულპტურებს ახალი უჩვეულო მასალისაგან. ანდრე სალმონი თავის მონოგრაფიაში „თანამედროვე რუსული ხელოვნება“, პარიზი 1928, აქვეყნებს მის ორ მატერიალურ რელიეფს. მათგან 1924 წლით დათარიღებულზე გაფერადებული ხის ვლემენტები, დილები და მეტალის რკალოვანი ფორმები ფერადად ტონირებულ საფუძველზე სრის დამაგრებელი, კემპარიტად დადაისტური ნივთთა კრებული. ის სახილველად მაინც ძალზე მიზანშეწონილადაა განლაგებული. მეორეზე (1925 წ.) მეტალის ღერო ქმნის დაკლავნილ ორნამენტს, რო-